



სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
COUNCIL OF SIGHNAGHI MUNICIPALITY



განკარგულება:გ-55.552133737

თარიღი:03/12/2021

**სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“**

**თავმჯდომარედ გიორგი ელიზბარაშვილის არჩევის ცნობად მიღების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 38-ე მუხლის, სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 37-ე მუხლის, „სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ“ სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის #გ-55.552133727 განკარგულებისა და „სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 16 ივნისის #14 დადგენილების საფუძველზე, სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. ცნობად იქნას მიღებული სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარედ გიორგი ელიზბარაშვილის არჩევა და მისი თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს 1500 ლარის ოდენობით.
2. ეს განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
3. ამ განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია სიღნაღის რაიონულ სასამართლოში (ქ.სიღნაღი ც. დადიანის ქ.#15 ) განკარგულების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

დავითი ჯანიკაშვილი

სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს  
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

